

დამტკიცებულია

2019 წლის 08 აგვისტოს #36 დადგენილებით  
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

დამტკიცებულია ცვლილებებით

2021 წლის 12 მარტის №16 დადგენილებით  
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

დამტკიცებულია ცვლილებებით

2023 წლის 30 ივნისის № 36 დადგენილებით  
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

## **„ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი (შემდეგში „წესი“) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროფესიის სტანდარტების საფუძველზე. წესის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებისა და პირობების განსაზღვრა.

### **მუხლი 2. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანი და ამოცანები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ებისთვის, რომელიც ხორციელდება დუალური მიდგომით ან მოიცავს კლინიკურ სწავლებას, პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.
3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება. დუალური სწავლების შემთხვევაში

შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების დამატებით წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.

4. საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარება უნდა განხორციელდეს პროგრამის დასრულებიდან გონივრულ ვადაში (არაუმეტეს ორი თვისა აგროვადებისა და სეზონურობის გათვალისწინებით).
5. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე და შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება:
  - პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საჭიროებაზე;
  - პროგრამის ადმინისტრირების უფრო ეფექტიანი მექანიზმების დანერგვაზე;
  - პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე;

### მუხლი 3. საკვალიფიკაციო კომისია

1. საკვალიფიკაციო გამოცდას ატარებს საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც იქმნება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე;

2. საკვალიფიკაციო კომისია (შემდეგში „კომისია“) განისაზღვრება არანაკლებ სამი და არაუმეტეს შვიდი წევრით, რომლის შემადგენლობაში შედიან :

- ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;
- ბ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- გ) საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის დარგში კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- დ) პარტნიორი საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი ან/და შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორი/პირი;

3. შესაძლებელია საკვალიფიკაციო გამოცდის პროცესზე დაშვებულ იქნეს შიდა ან/და გარე დამკვირვებელ(ებ)ი;

4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად კომისიის თავმჯდომარე არ უნდა იყოს პირი, რომელიც ჩართული იყო პროგრამის განხორციელებაში.

5. კომისია გაწყვეტილების მიღებისუნარიანია, თუ მას ესწრება საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არანაკლებ  $\frac{3}{4}$ -ისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს.

6. კომისია უფლებამოსილია საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტისთვის:

- ა) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ
- ბ) კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

7. კომისია შესრულებული სამუშაოს შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.

8. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების თაობაზე ინფორმაციას პროფესიული განათლების დეპარტამენტი წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, რომლის საფუძველზეც გამოიცემა შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

**მუხლი 4. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მოსამზადებელი ეტაპი**

1. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია მხარი დაუჭიროს საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებას.
2. საკვალიფიკაციო გამოცდა მოიცავს შეფასების სისტემის სამ ძირითად ელემენტს: შეფასების ინსტრუმენტი/ფორმა, შეფასების პროცესი და შეფასების მტკიცებულება.
3. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების მიმართულებებია: თეორიული გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით ან თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეფასება კომპლექსური ინსტრუმენტით.
4. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა ეყრდნობა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სცილდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამასთანავე, გამოცდის თემატიკა ეყრდნობა შესაბამის პროფესიის სტანდარტს/ებს ან/და შეფასების სტანდარტს/ებს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. თემატიკა მოიცავს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და/ან თეორიული სწავლის შედეგის/ების მიღწევის დადასტურებას/დემონსტრირებას.
5. კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასების ინსტრუმენტის ფორმა განისაზღვრება დანართი N1-ის შესაბამისად.
6. შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ა) დავალების შინაარსი;
  - ბ) დავალების შესრულების ხანგრძლივობა, თარიღი და ადგილი;
  - გ) შეფასების კრიტერიუმები;
  - დ) გამოცდის ორგანიზებისათვის დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).
7. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროგრამის მოდულ(ებ)ის განმახორციელებლები შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით;

8. შესაძლებელია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩაერთოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და პარტნიორი ორგანიზაციის შესაბამისი დარგის წარმომადგენელი/წარმომადგენლები.
9. საკვალიფიკაციო გამოცდის უზრუნველსაყოფად გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები
10. ვალიდაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება ეკისრება საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარეს და პროფესიული განათლების დეპარტამენტს, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით.
11. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციებით/მითითებებით გასასწორებლად უბრუნდება შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართულ პირ(ებ)ს, რომლებიც გამოცდამდე უზრუნველყოფენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას.
12. საგამოცდო საკითხები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას გამოცდის საკითხების შემუშავებიდან გამოცდის დასრულებამდე.
13. შესაფასებელ პირს ათი კალენდარული დღით ადრე მიეწოდება ინფორმაცია გამოცდის ჩატარების თარიღის, ფორმისა და ადგილის შესახებ, ხოლო გამოცდის შედეგების შესახებ -გამოცდის ჩატარებიდან არუმეტეს სამი კალენდარული დღისა, წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი ფორმით.

#### **მუხლი 5. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება**

1. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს თეორიული, პრაქტიკული ან/და თეორიულ-პრაქტიკული გამოცდის სახით.
2. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (საწარმოში/პრაქტიკის ობიექტზე).
3. საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას შესაძლებელია განხორციელდეს ფოტო გადაღება ან/და აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა და შეფასებაში მონაწილე პირების ნებართვის საფუძველზე.
4. საკვალიფიკაციო გამოცდას ესწრებიან შესაბამისი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრები.
5. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, ატყობინებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.
6. საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას, ასევე, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ოქმის მომზადებას.
7. საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.

8. სტუდენტს გამოცდის შედეგების შესახებ ეცნობება წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.
9. საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/ პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი. მტკიცებულებები ინახება შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 6 წლის განმავლობაში.

### მუხლი 6. სააპელაციო კომისია

1. პროფესიული სტუდენტი თუ არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს და გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამი სამუშაო დღის ვადაში.
2. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით და შედგება სასწავლო უნივერსიტეტის იურისტის, დარგის სპეციალისტისა და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი ან დამსაქმებელისაგან. (საჩივრის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში).
3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოიკვილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და შეისწავლოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს მხარეები ( საკვალიფიკაციო კომისიის წევრი /ები, მომჩივანი).
4. სააპელაციო კომისია, ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების ან/და კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
5. კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო კომისიის მიერ მისთვის დაბრუნებულ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რისთვისაც კომისიას განესაზღვრება სამი სამუშაო დღე.

### მუხლი 7. განმეორებითი გამოცდა

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდის შედეგების გაცნობიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
2. განმეორებითი გამოცდის ჩაბარების უფლებით სარგებლობა პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთჯერადად.
3. განმეორებითი გამოცდისათვის იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი.

4. გამოცდის/განმეორებითი გამოცდის/ კომისიის/სააპელაციო კომისიის/სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/ შედეგის გაასაჩივრების უფლების შესახებ სტუდენტს ეცნობება კომისიის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე.

#### **თავი 8. საკვალიფიკაციო გამოცდის დაფინანსება**

1. საკვალიფიკაციო გამოცდის ხარჯები მოიცავს:

- ა) გამომცდელთა/ადმინისტრირებაში ჩართულ პირთა/კომისიის ჰონორარს;
- ბ) გამოცდისათვის საჭირო სახარჯი მასალების და ნედლეულის დანახარჯები;
- გ) გამოცდის ჩატარების სივრცის და მანქანა-მოწყობილობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები (შესაძლოა საჭირო გახდეს იჯარა როგორც თეორიული გამოცდის ჩასატარებლად, ისე პრაქტიკული კომპონენტისათვის, ტრანსპორტირება და ა.შ.);
- დ) საკომუნიკაციო და სხვა სახის დანახარჯები

2. გამოცდასთან დაკავშირებულ ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ;
- ბ) დარგობრივი უნარების ასოციაციის (დუო) მიერ;
- გ) სხვა სტრუქტურის მიერ.

#### **მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი**

წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

დანართი #1- საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (გამოკითხვა)

დანართი #2- საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (პრაქტიკული დავალება დაკვირვებით)

დანართი #3- პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინდივიდუალური უწყისის ფორმა

დანართი #4- საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების საერთო უწყისის ფორმა